



ମହା ମହିତତ୍ତ୍ଵବେଚ୍ଛାନ--ଏମ୍ ରଙ୍ଗିତତ୍ତ୍ଵବେଚ୍ଛାନ.



N: 17

1920 ଫ.
ମାର୍ଚ୍ଚି 14



ବାଜାରଟଙ୍ଗେଣ୍ଠା. ଏହିମି ସାବଲିଳି ଫାରି ତୁ ଏହି ବାଜାରଟଙ୍ଗେ ଦା କଲିର୍ଯ୍ୟ ଦେ ଏହି ଶେଖିନାକେ, ଯେବେଳାସ
ବୁଲି ଶେଖିବୁଟେବା ଦା ଶିକ୍ଷା ଗାନ୍ଧିବେଳିନିବା ମନ୍ଦିରି ନିଜାବି (ଫାରି ଅଲେବି)...
ଆଶ୍ରମଦେଶଜ୍ଞାନୀ. (ରିହମାଦ, ଟାଗିବେଳିବି) ଓହ, ରା ଲାଗାତ ମିପବାରୀ ଏହିମି ମେଢିନ୍ଦେଲ୍ଲି ଦା ମେଘନ-
ଦାରି! ଶିଶିସାଗାନ ଘୁଲ୍ଲି ମିତାନିକ୍ଷାଲ୍ଲବୁ, ଏହି ସିମ୍ବଲ୍‌ଲ୍ୟାଙ୍କ ବୁଲ୍ଲି ରାମ ବୁଲ୍ଲିର୍ଯ୍ୟବୁ... ପୁଣିତ, ଶ୍ରଦ୍ଧା-
ଶାତ ହାମିନାରିଲା, କୋମ ଲାଇମର୍ବିଗ୍ରହିବୁ! ମନଦିନ ମେଘନଦରିବାରୁ ଗାପିଛିବି: ଏହି ଶ୍ରୀମି ରୂପିଶ୍ଵରିର ଦାଵାକ୍ଷରି ଦା
ଦାଵାଦାଲ୍ଲବୁ.. ଉତ୍ତରି ଅଭିନାଦାତି ହାମିନିର୍ବେବୁ... କିମ୍ବା କି ଶବ୍ଦା ବ୍ୟେରିବା, ରାମ ଫାରିଲିବା
ଏହି ମନାଶିରିବା!

ქ ვ რ უ მ ი .

ღმერთმა ცველაფერში გაშოროთ კაცი ჯიუტი და თავნება. განა სხვას იმდენ რას ავნებს, რამდენ-საც თავის თავს ივნებს, მაგრამ მაინც არ მომწონს ჯიუტი აღმიანი!

მე კი თითონ ჯიუტი და კერპი ვინმე ვარ. და-ვიუნე: არას მამაოჩენობით არავის არ ვკითხო ვინ არის ის ჩემი ცოდვით საესე ქვორუმი და რაც უნდა დამიჯდეს საკუთარი საშუალებით აღმოვაჩინო ის.

რა ხერხს არ მიემართე, რა ეშმაკობა არ ვიხ-მარე ამ მიზნის მისაღწევათ, მაგრამ ჯერ ჯერობით ცველაფერი ამაო გამოდგა.

ჩემი მეგობარი დავით ჩადუნელი, როცა მას სა-ხლისკენ მივიპატიუებ ხოლმე, ყოველთვის მე-უნდება: ქალაქის საბჭოს კრებაზე, ან ფრაქციის კრებაზე, ან საბიუჯეტო კრმისის კრებაზე ან ათას ა კრებაზე მივდივარო. ხოლო როცა პატარა ს შემრევ ქუჩაში ვხვდები ქალი შვილებთან ტკბი-რით მოჭუკუკეს და თითს დაცუქნევ ხოლმე, სწრა-ფად მიპასუხებს:

— ვიყავი ღმერთმანი, მაგრამ ქვორუმი არ და-რჩაო. გესმისთ ხალხნ? ასეა მუდამ, განა მარტო დათიყო. ქვეყანა ასე ლაპარაკობს. დამფუძნებელი კრება, ყველა მისი ფრაქციები (გარდა ვეზაპელისა) ყველა მისი კომისიები, პოდკომისიები, წარმოიდ-გინეთ ხშირად მთავრობის სხდომებიც კი, ყველანი ერთხმად ემდურიან ამ ჩემს გამაწამებელ ქვორუმს.

— ქვორუმი არ იყო კრება არ შესდგაო; ამბობს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარე ალექსანდრე ლომთათიძე.

— ქვორუმი არ იყო კრება დაიხურაო, ამბობს ქალაქის მოურავი ბენიამენ ჩეიკვიშვილი.

— ქვორუმი არ იყო კრება გადაიღოო, ამბობს ფრაქციის თავმჯდომარე აკავი ჩენენ კელი.

რომელი ერთი მოვთვალო, ასეა ცველგან და ყველოთვის.

ოჳ ქვორუმო, ქვორუმო! როცა იქნება ჩამივარ-დები ხელში.

მაგრამ „ერთი მგლისაკენ და ერთიც თხისკენ“ ამბობს ქართული ანდაზა. სამართლიანი ოქმულებაა. ერთი ფიქრით გული არ მომიშლის კბილებით დავ-გლიჯო ეს ქვორუმი, უკეთუ ხელში ჩამივარდებო-დეს, მაგრამ მეორე წამში გული სულ სხვას შეუ-ბნება:

— რას ერჩი ჩემო კარგო იმ უბედურს. ხომ ხე-დავ ცველა კრება, ყოველი დაწესებულება, ყოველ-გვარი საქმე იმის კისერზე ყოფილი დაკისრებული. თუ ის არ დაესწრო, ისე თურმე ვერავინ ვერაფერს გააკეთებს. რა ქნას საწყალმა რომელ ერთ კრების დაესწროს, შვაზე ხომ ვერ გასწყდება?

ერთი წუთით, როცა ბრაზი მომერევა მის მოკ-ლის გული არ დამრმლის, მაგრამ მეორე წუთში,

როცა მღელვარი გული დამიწყნარდება ფფიქრობ:

— რა გვეშველება ქართველებს, რომ ღმერთი გასწყრეს და ამ ქვორუმს რაიმე მარცხი მოუვიდეს ხომ ცველანი სიკედილის შვილები ვარო?

ასეთი სულიერი განწყობილების ღროს, მიუხე-დავათ იმისა, რომ ათასჯერ გადაწყვეტილი მაქვს უზენაესის წინაშე არავის პროტექცია არ გაუწიო, მაინც ღავებირები ხოლმე ქვორუმის დღეგრძელო-ბისათვის ლოცვა-ვედრების აღვლენას.

ასე ვიწვი და ვიტანჯები, ძვირფასო მკითხველო ამ ქვორუმისაგან, როგორც იტყვიან „ღამე ძილი არა მაქვს და დღიუ მოსვენება“.

მაკვირვებს მე ერთი ახირებული გარემოება. სახელდობრი ისა, რომ ზოგიერთებს უხარისათ, როცა ქვორუმს ვერ ხდავენ.

ამ წინაშე ფრაქციის ოთახში ვიჯექი ბუხართან; კარგი ცეცხლი იციან. თერთმეტ საათზე კრებაც უნდა გახსნილიყო. გაიღო კარები, პეტრემ შემო-იხედა, მიმოავლო თვალები და სთქვა:

— ქვორუმი არ არის... ცხადია კრება არ შეს-დგება... მყის კარები გაიხურა და მხიარულით და-ეშვა კიბეზე.

ასე დათომ!

ასე თომამ!

ასე მიშმა!

ასე ლევანმა!

ასე ბარბარემ!

ასე ნიკიფორემ!

ყველანი შემოიჭერეტლენ და რაკი ქვორუმს ვერ დაინახავდენ მხიარულნი გარბოლენ დარბაზი-დან.

— ძალიინ კი შინებიათ ამ ქვორუმისა! გავი-ფიქრე მე გუნდებაში და ჩემი ცნობისმოყვარ-უფრო გაიზარდა. მიებრუუნდი და მიტოსა ვკ

— მეგობარო, ეს ქვორუმი რო კრებები ესწრება ხომ არ სხამს ჩუმჩუმათ?

— ოო, რა ეშმაკი ხარ! რა ეშმაკი! ჩა-მიტომ და ჩემი კითხვა უპასუხოდ დასტოვა. აღარც მე დავვეკითხ.

დე, გიტანჯო! როცა იქნება ხომ აღმოვ ხელო საკმაო საბუთები მაქვს, რომ მის კვალ ვაგნო და სადაც იქნება ჩავიკირო. არ ვიცი თვის მგლია, მაგრამ ჩემის აზრით ქვორუმს ძილი ცხვირი უნდა ჰქონდეს.

თებერვლის 27-ს დამფუძნებელი კრება დი-იჯდა ქვორუმის მოლოდინში. როგორც ს შევატყვე, ზოგიერთებს კიდევაც უხარისათ მოუსვლელობა და სახლში წასასვლელად მ აწყობილი ჰქონდათ, დაღვრემილი იჯდა მარტო ზიღურები. დეპუტატები ერთობ ზანგათ შემ დენ სასაზუბნე ოთახიდან. მე განსაკუთრებ ყურადღებით ვალევნები თვალს კრების თავშ მარეს, რათა გამეგო ვისი შემოსვლა მოახ



გასზე შთაბეჭდილებას. როცა სხდომის დარბაზში ვლასა მგელაძე შემოიძრთა, თაემჯდომარეს სახე გაუნათლდა და ნელის ხმით განაცხადა: „კრება გა-ხსნილია“.

მაშინათვე დავასკვენი: თუ ვინვე ქვორუმი უთუოდ ლასა მგელაძე იქნება მეოქი. იმის შემოს-ვლაპი დარბაზში ქვორუმი არ იყო, ხოლო როცა ის შემოვიდა მაშინ კი დაჩია. ცხადია ქვორუმი ლასა მგელაძე ყოფილა! ცხვირიც რომ ხელს უწყობს!! ერთობ მესიამოვნა ეს გარემობა, მაგრამ როგორც ყოველთვის, სიამოვნება ახლაც წუთიერი გამოდგა. ჩემ მიერ აღმოჩენილი ქვორუმი მცირე ხანს იჯდა დარბაზში, ადგა და გავიდა. კრება კი არ დაუტურავთ. მაშ ქვორუმი დაჩია დარბაზში.

ბრაზით წვერები კინალამ დავიღლივე. გეფიცე-ბით თავს მოვიკლავდი რომ სალამოსთვის კონცერ-ტის ბილეთი არ მქონდა ნაყიდი. გაგონილა ასეთი ხათაბალა?

გულზე მოწოლილი სევდები მცირე დენ ისევ ფრეივ მაღალოვმა გამიფანტა.

- იცი ეშმაკო ამბავი?
- როელი ამბავი, მეგობარო?
- ქვორუმის ამბავი.

სმენათ გადავიქეც.

— ვაცი, მაგრამ ისე... რა მოხდა? დაიკირეს თუ?

— არა, დაკერას ვინ შექმედავს... დაჯარიმე-

ბით კი დაჯარიმეს.

— რას ამბობ კაცო?

— აბააჲ, ჯარიმა დაუწესეს. სირცხვილი კია.

მაგრამ...

— რის სირცხვილი ჩემო კარგო, ჯარიმა კი

არა ჩემი საქმე რომ იყოს ჩამოვახრიობი.

— ახლა უთუოდ ყოველ კრებაზე მოვა.

— ჯარიმის შეეშინება?

— რასაკვირველია.

— არა მცონია. კაცო ნოე უორდანისი არ ეშინია, დამფუძნებელი კრების არ ეშინია, ავაკი ჩხერიელის არ ეშინია, ბენია ჩხიკვიშვილის არ ეში-ნია, იმის ჯარიმების შეეშინება? არ დაიჯერო ჩემო ფორუკ.

დელონებული გამოვედი სასახლიდან. ერთი მე-ტათ ახირებული აზრი ამეციატა.

— ორში ერთი... — ვთიქრობდი მე — ეს ქვო-რუმი ან ბოლშევიკისა, ან უკეთეს შემთხვევაში პროვოკატორი. ვინ არ იცის, რომ ბოლშევიკები პარლამენტარული მუშაობის წინააღმდეგნი არიან. ყოველგვარი საშალებით ცდილობენ ისინი პარ-ლამენტის სახელის გატეხას, მისი მუშაობის შე-ფერხებას და ქვორუმი რომ ჩვენს დამფუძნებელ კრებას სახელს უტეხს, ისე აბა რომელი კომუნისტი შეარცხვენს და გაუტეხს? ვინ იცის იქნება მო-ყიდული ვინმედა და განგებ შეება, რომ არც დამ-ფუნქციელ კრებაში, არც მის კომისიებში, არც

ქალაქის საბჭოში, არც ცენტრალურ კომიტეტში, ერთის სიტყვით ყველგან, საღაც კი ქვორუმი სა-კიროა, საქმიანი მოღვაწეობა არ სწარმოებდეს.

ერთი სიტყვით, ბოლშევიკია ის, პროვოკატო-რია, თუ გულწრფელი ქართველი მოღვაწე, ეს ქვორუმი რაც უნდა დამიჯდეს მაინც უნდა ვიპოვო.

გუშინ პირდაპირ თავზარი დამცეს.

— აბსენტეიტში საშინალო განვითარდა. გუშინ შტაბის სხდომაზე ქვორუმი არ დაჩია და კრება დაიშალა, ამბობდა ერთი სამხედრო პირი.

დამიჯერეთ, რომ ამ „აბსენტეიტშა“ ცეცხლზე ნავთი დამისხა. ეს რაღა, ჯანაბა ამიხირდა ამ გა-კივრების დროს! . „ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო“ ნათქვამია და სწორეთ ისიც შემომიქ-თა იმ მამაცხოვნებულმა ამ „აბსენტეიტშის“ სახით. მაგრამ მე იმისი გამოცდილება კი მაქვე, რომ თრ კურდღლს ერთად არ დაუწყო დევნა.

პირველ ყოვლისა ქვორუმი! . გაგონილი მა და, რომ დამფუძნებელი კრების ზოგიერთა ციებში ხშირად ესწრება ქვორუმით. მეც იქი. მივაშურე.

სოციალ-დემოკრატების ფრაქციაში ოცდაათა დე კაცი იჯდა, მაგრამ ქვორუმი მაინც არ იყო მოსული.

— მიტო ჯან, როგორ ატყობ, დღეს მოვა ქვორუმი?

— რა ვაცი, ჩემო კარგო... სევდიანათ მიპა-სუხა მიტომ და ვერ შევატყვე უხაროდა თუ სწყე-ნოდა მისი მოუსვლელობა.

ნაციონალ-დემოკრატების ფრაქციაში მხოლოდ ერთად ერთი ასათიანი იჯდა და ქვორუმზე არა ფიქრობდა

უნუგეშო გამოდგა ფედერალისტების და ესე-რების ფრაქციებიც. ორივე ცარიელი დაწევდა.

მოკრძალებით შევალე ეროვნული პარტიის ფრაქციის კარები. მოგეხსენებათ, რომ ეს ფრაქცია ერთი კაცისაგან შესდგება. საწერ მაგიდასთან ბ-ნი ვეშაპელი იჯდა. ძლიერ მესიაძევნა.

— ბატონ გრიგოლს გამარჯვება?

— გავიმარჯოს, ბატონო ეშმაკო. რაზე შეწუ-ხებულხართ?

— რასა ბრძანებთ... განა თქვენთან ყოფნა შეწუხებათ უნდა ჩაგვეთვალოს?

— მაინც...

— მაინც არაფერი ისეთი... მინდა გავიგო ცოტა რამ ქვორუმის შესახებ...

— რა მხრივ?

— თქვენს ფრაქციაში თუ დადის კრებებზე?

— თითქმის მუდა ესწრება

— რასა ბრძანებთ?

— თქვენ ნუ მომიკვდეთ...

— დღეს მობრძანდება?

— როგორ თუ მობრძანდება? უკვე აქ გახლავს.



- ქვორუმს გეჭითხები ბატონო გრიგოლ?
 — დიახ, მესმის და მეც სწორეთ ქვორუმზე
 მოვახსენებთ.
 — მაშ ეხლა აქ არის ქვორუმი?
 — დიახ აქ გახლავს.
 — აქ ჩვენ ორნი ვართ რამდენთაც ვიცი.
 — უღავო დებულებაა...
 — მაშ ჩვენ ორში ერთ ერთი, ვყოფილვართ.
 — თვენ ჯვარი გწერიათ. ჩვენს ფრაქციას მე
 შევადგენ...
 — მერე ქვორუმი?
 — როცა მე აქა ვარ, ქვორუმიც აქ არის,
 როცა არა ვარ ქვორუმიც არ არის.
 — მაშ ქვორუმი...
 — დიახ, ქვორუმი მე ვარ.
 — ღმერთო ჩემო, ნუთუ თქენ მართალს
 ვბობთ?
 — თუ მე არ მიჯერით რეზოსა ჰქითხეთ.
 მშვიდობით ბრძანდებოდეთ.
 რას მიეჩარებით.
 — ისე... საქმე მიმიწვევს.
 — მშვიდობით.

ვეშაპელის ფრაქციიდან თავბრუ დახვეული გა-
 როვედი. ეხლა კი აღარ ვიცი რა ვიუქრო! ნუ
 თუ ქვორუმი მართლა გრიგოლ ვეშაპელია? იმდენ
 უხეირო საქმებს შვება, რომ მისი ქვორუმობა
 არც კი გამიკვირდება, მაგრამ მაინც გული სხვას
 მეუბნება. ვნახოთ.

ე შ მ ა კ .

შექანჯალებულის ლექსები.

ჰეი, ჰოი, ჰაი, ტაში!! ტაში!!
 ჩემს გოგრაშა ცეკვა და თამაშია
 გავიქცეო და თავი ვკარ ჯამშია...
 კუჭი მეწვის: ჰო, ჰო, ჰო, ჰო—რა მშია!!
 ბრძოლა ძმებო, ბრძოლა მამა პაპური,
 თორებ დღითი-დღე ძვირდება მჭად-პური,
 გვეყო, გვეყო ამდენი მოთმინება,
 ხვალ გირვანქა—ას მანეთად იქნება!
 პურის ყალბი ბარათი შევიძინოთ,
 ამით ოჯახს მჭლეს ბარაქა შევსძინოთ,
 თუმც ვეწერე ერთხანს ბარათში მარტო,
 შემდიგ „ცოლად“ ჩავიმასვქენ შიგ კატო,
 პურის ულუფამ დიდათ არ იმატა,
 კატო მივუმატე კოლის და-მატა,
 და იგი ჩემს „მკვიდრ შვილად“ სწრაფ წარვადგინე,
 მშია და ბოროტებაც ჩავიდინე,
 კვლავ დავსწერე ოჯახის წევრთა სია,
 შევიტანე შიგ სიდედრი ტასია,
 ძმის შვილები: ვანე და ალვასია,
 ეფრისინე, კესო და მანასეა,
 ავთანდილი, ლილი... და სხვაც ათასია—
 — მკვდარი სულები მეთვლება „შვილებად“

და დღეში ფუთ პურს ვიღებ, ჩეტ-ნაკლუბ-ჭირობის
 შაქარიც მაქვს, ბრინჯიცი, სხვა სანოვაგიც,
 ვაჲ, თუ „იმს მიქნეს“ და პასუხიც ვაჲ?..,
 ექ რაც იქნეს-იქნეს, ერთი ხომ გაეძები,
 მაგრად წარვს დგი ტროტუარზე და ფეხი
 მაშ, სიცოცხლეს ვან ძლევს ძმავ, უკმაყურსა,
 თუ არ იმას უნ-ვერ ჭამ ლუკა-პურსა,
 ბრძოლა ძმებო, ბრძოლა მამაპაპური,
 თორებ დღითი დღე ძვირდება მჭად-პური,
 გვეყო, გვეყო ამდენი მოთმინება,
 გერა, თორებ გერმე გვიან იქნება...

რეკე!.. კე! კე! რეკო!! კო!! კო!!

გაგვიმრავლდა როგორც სოკო

„სიმბოლისტთა“ გამოცემა,

მის ავტორებს უნდა ცემა,

გაგვიძვირეს ქალალდები..

დავსცერო მათ თავში წალდები..

რა მოვთვალო?!-ერთი — ორნი?!

„თოლაბულის—ნიამორნი,“

„ტფილისი“ და „თებერვალი“

— ორი თუმანი ღირს რგვალი,

აქ „პარნასი“ — გონჯ-პირნასი,

„შვილდოსანი“, იქ მგოსანი,

ერთი მეორისა მჯობნი,

ტვინ ნანჯაყვნი, ჭკვა ნაღრძობნი,

აგერ, მართლა „კავრთო თავა“

ყველა ჭირმა გაათავე—

ყოველ დღე „ქ-ნიან“ უურნალებს,

რავენა, მათ ვინ უმკურნალებს

სტანჯავთ საწყლებს ჭკუის როკვა,

სულ ყველის უნდა გათოვეა,

მოგვეკლავს იმათი „სიმბოლო“,

მოგველება ყველის ბოლო...

როკო კოკო... რეკეკეე!!

ტაში ნინა, ტაში ჭეკე!!

ტაში თებრო, ტაში მართა,

თამაშობა გიმართა

ცეკვობენ „სიმბოლისტები“,

მე კი აქ სიცილით ვკვლები!

რაშო, რერა, რაშო, რერა!!

რაშო, რერა! რერა, რაშო!!!

მიყვარს ლხინი, ცეკვა, მღერა,

მიყვარს ჭეთო, მიყვარს მაშო,

მინდა ყველის ვეთამაშო,

ვიცელქო და ვიპარპაშო,

ეხლა მე გახლავარ „მსხვილი“,

ფულები მაქვს შეძენილი,

მონაგებ ჩაიმასქმნილი,

უარს ხომ ვერ მეტყვის ლილი.

მინდა ის შევირთო ცოლად,

რომ ვიცხოვროთ წყვილათ ტოლათ.

აბა დელი, დელი დელია,
 რს კურსისტეა, ვიშ, რა საკონექტოია,
 თუმც კია, როგორც ვატყობ, ძნელია,

ჩისი ეშნით გავხდი შტერი, ხელია,
ლექციებზე შემიშალა ხელა,
დამწვა, დამწვა, მომიკიდა ალია!!
კუდაბზიკოძეს, სულ ჩემსკენ აქვს თვალია;
პროფესორი!! მე შენთვის არ მცალია,
უნდა დამწვას, უნდა დამანელოს მე,
ყანყარტოში ვენაცვალე ჰეროს მე!!
შენ თუ მწყალობ-ვისნი საქართველოს მე...
არ გიყვარვარ?! — მაშ დამარტყა ქვაი მე
ვაიმე! ვაიმე! ვაიმე!!

—
ტაში, ტაში, ძმავ ერმილე,
ტაში, ტაში, თეოფილე!
მო, გავმართოთ იუბილე,
სანამდი გვაქვს სიყმაწეილვ,
და ძვლებზე შეგვრჩა სირბილე,
მაშ, გავმართოთ, რალას უცდით?
რალად გვ-ნდა, თუ მოვხუცდით
კარგი ყოფნა და ფულები:
თუ არ გვექნება კბილები,
ჭამა-სნაც არ შეგვეძლება.
და სულიც ხორცის გაეცლება
ესაც შენი იუბილე —
სამარის პირს რო მიღება,
ჩემი ძმაო, თეოფილე —
ვერც სქამ, ვერც სქამ, ვერც გაძლები.
ესეც ლვაწლის დაფასება,
თვალი, ყური დაგვესება,
და კბილებიც ჩაგცვივდება,
ზემი რას წაგადგება.

—
ქალო! აბა!
ბოკლე კაბა
დაიკიდე უცემ წელზე
და ყულაბა,
მსურს მოგაბა
კოხტა ყელზე...
გასწი, ქალიქს მოედინე —
გადაუდექ ყველას წინა,
დაუკრიჭე, გაუცინე,
წაიყვანე პელო, ნინა
მოაგროვე სწრაფლ ფულები:
აღვადგინოთ გორელები.

შექანჯალებული.

ღალატი*

დიდ ბოლიშს ვინდი, ბატონებო, თქვენსა და
ჩენენი მასპინძლის, გალაქტიონ ტაბიძის წინაშე,
მაგრამ დღევანდელ საღამოისთვის მე ვერაფერი
მოვამზადე და ამოდენა საზოგადოებას მოლოდინი
გვუცუე. დამერწმუნეთ, ეს ჩემდა უნებურად

*) წაკითხული სახელმწ. თეატრში გალაქ. ტაბიძის
საღამოზე.

მოხდა, მაგრამ სულობია დალაგებით მოვახსენოთ
ჩემი ლალატის ამბავი.

გალაქტიონ ტაბიძემ თრი კვირით ადრე მთხოვა
მის „საღამოში“ მონაწილეობა და მეც მაშინ-
ვე შევუდექი დღეისთვის თემს არჩევის. ყბალ-ასა
ღები და გასაკიცხი ბლობად იყო, მაგრამ საქმე
ყველაზე უფრო შესაფერისა და სამდროო თემის
არჩევა, და მეც ამ მხრივ ჩავუფიქრდი საკითხს.

— რა დავამზადო გ. ტაბიძის „საღამოსთვის“,
ვფიქრობდი მე:

რა შეადგენს ამ ქამად საზოგადოების ყურად-
ღების საგანს?

და მე ჩამოვთვალე ყველა ეს საგანი: 1. სპე-
კულიაცია; 2. მიწის ძვრა; 3. ჩენენი სიმბოლისტ პო-
ე+ ების ახალი უფრო. „შვილოსანი;“ ათამდე ერთ
მეორეზე მოხდენილი თემა ჩამოვწერე ამნაირად დ
შევუდექი სათითოოთ აწინ-დაწონვას.

პირველი — სპეკულიაცია!

— რა უნდა დავსწერო სპეკულიაციის
სპეკულიანტების შესახებ, ვამბობდი მე; და
კიდევაც რომ შესანიშნავი რამ დავსწერო, ხომ ს
თეატრის წინაშე უნდა წარმოვსთქვა ეს ჩემი დ
წერილი, უნდა გავკილო და გავაბახო სპეკულია-
ცები სავსე თეატრის წინაშე! მაშინ ხომ დაირღვა
რუსული ზრდილობიანი ანდაზის მორალი: „ი
ყოველი სამსახურის შესახებ მომიხდება ლაპარაკი!

ეხლა კი ვხედავ, ბატონებო, რომ იმ დროს
სასტიკად ვიდებოდი და დღეს თეატრში ერთი
სპეკულიანტის ჭაჭანებაც არ არის, მაგრამ აბა წინ
და წინვე მიხვედრა იმისი, რაც ორი კვირ ს შემ-
დეგ უნდა მოხდეს, არა თუ ჩემისთანა უბრალო
მომაკვდავს, მოგეხსენებათ ზოგჯერ გაზეთის რე-
პორტერსაც არ შეუძლიან,,

ამ მოსაზრებით პირველი თემა — სპეკულიაცია
უარყოფილ იქმნა.

მეორე — მიწის ძვრა.

მიწის ძვრა, ეჭვს გარეშე, ჩინებული თემაიყო.
მე ვფიქრობდი დამეწერა ამ სათაურისა ესკიზი: „რა
გავლენა მოახდინა მიწისძვრამ უდედრალისტების ზო-
გიერთ საზოგადო მოლექტის ტეინზე“.

ყველაფერი მოფიქრებული მქონდა და ის იყო
წერას უნდა შევდგომოდი, რომ უეცრად ხელში
ჩამივარდა გაზ. „Слово“ -ს თებერვლის 28-ს ნომერი,
სადაც ვინმე კ. ტ. გორის უდედრებას აღწერდა.
ჩემი ყურადღება მიქუცია ვოტორის ერთმა სამართ-
ლოანმა ფრაზამ, რომელსაც, ცოდვა გატეხილი სჯო-
ბია, „Слово“ -საგან არ მოველოდი და რომლის აზრმა
ფრიად ჩამაფიქრა: „მიწისძვრის მსხვერპლიდ გახდნენ
გორისა და მასი მიდამოების ყველა მცხოვრებნი,
განურჩევლად ეროვნებისაო“, ამბობდა გაზეოთი. ეს
კეშრამიტი აზრი პატივცემულ სომხურ გაზეთი-
სა იმდენათვე სასიამოვნო იყო ჩემთვის, რამდენადაც

მოულოდნელი: სჩანს, „Слово“-ს აზროვნებაში დიდი ეკოლიუცია და წინსვლა მომხდარა, რომ ჩვენს, ქართულ მიწისძვრას ეროვნულ მიკერძებას არ უსაჟვედურებს და საჯაროთ აღიარებს, სხენებული მიწისძვრა თანაბრად შეეხო უფელას, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და პოლიტიკურ რწმენისათ.

მართალია, მეორე წერილში პატივცემული გაზეთი გადაჭრით ამტკიცებდა, გორი სომხების ქალაქია, რადგან დავით ილმაშენებელმა ლტოლვილ სომხებს გაუშენა ეს ქალაქი XI საუკუნეში, ასე რომ მკითხველს მაცურული ეკვიც კი გაუელვებდა თავში, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე რაღა მაინცა და მაინც სომხეური ქალაქი გორი აირჩია მიწისძვრამ თავის ასპარეზათო, მაგრამ ზემოდმოყვანილი ფრაზა ნათლად ამტკიცებს, რომ „Слово“-ს ასეთი მზავრული აზრი თავში არ მოსვლია.

პირიქით, ჩვენ დანამდვილებით გავიგეთ, რომ აზ. „Слово“-ს გავლენით „აშხატავორმა“ ხელი ერთი წერილის დაბეჭდვაზე, რომელიც აწიბილი ჰქონდა კიდეც. ამ წერილის სათაური იყო „გორის მიწისძვრა ანუ ნოე რამიშვილის აზალი ჯოჯოხეთური რეპრესიები“ და ავტორი ამტკიცებდა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა განზრას მთაწყო მიწისძვრა საგანგებო რაზების დახმარებით, რათა გორსა და მის მიღამოებში მცხოვრები სომხობა ამოხხოცა. (აშხატავორის აზრი, როგორც ვიცით, ქართველი ერებიც სავსებით იზიარებენ და ფედერალისტების პროფესორებიცა და სტუდენტებიც ემხრობინან ნაწილობრივ).)

პატივცემულ გაზეთ „Слово“-ს ზემობსენებულმა წერილმა კიდევ უფრო მიტომ გადამაუიქრებინა მიწის ძვრის შესახებ რისიმე დაწერა, რომ ავტორი სრულიად ახალსა და ორიგინალურს, მაგრამ ექვმიუტანელ აზრს გამოსთვამს მიწის ძვრის მნიშვნელობის შესახებ. „მიწის ძვრაო, ამბობს იგი, უველას აახლოვებს ურთიერთან და საერთო აღორძინებისაკენ მიჰყავს ხალხი“: (Несчастныe (т. е. землетрясение) роднит всех и ведет к общему возрождению“) ამის და გვარად ჩვენ ვხდავთ, რომ მიწის ძვრის თვისებას შეადგენს. 1) სრული მოუდგოლობა (მან არ იცის ეროვნული მიკერძება); 2) უველას აახლოებს ერთმანეთან და ძმობას და სიყვარულს ამყარებს ქვეყანაზე, და 3) სრული დორძინებისაკენ მიჰყავს ალხი, ერთი სიტყვით, მიწის ძვრა ყოფილა ყოვლად სასიხარულო და სესურეელი მოვლენა, ხოლო ამის წინააღმდეგ ვის რა ეთქმის?

როგორც ჰქონდავთ, აქაც გამიცრულა იმედი და ეს მეორე თემაც არ გამომაღვა.

მესამე თემა—ერავნალ „შეილდოსნის“ პოეტები გახლდათ.

ამ თემაზე დიდ იმედებს ვამყარებდი, ბატონებო, და ამის გამო გულის ფანცქალით შევუდექი უ-

რნალ „შეილდოსნის“ კითხვეს, მაგრამ, დახემ ჩემს უილბლობას: გელმა აქაც მიმტყუნა: მე ველარც კი ვიცანი ჩემი ძველი ნაცნობი ლოთი ძები, „ცისფერი ყანწების“ დარღმანდი რაინდები. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, ბატონებო, როგორ გამოცვლილ და დაიღიჯებულან, ძველი უებარი ფუქსავატური გზა დაუგდათ და მეცნიერების წყაროს დასწავებიან ისეთის გაშმაგვით, როგორც გატაცებულ კაბუკს შემფერის.

ჩვენი პოეტების განსაკუთრებულ ყურადღებას უურნალის ორთავე წიგნში უმთავრესად მედიცინისა და ჰიგიენის საკითხები იპყრობენ. შესანიშნავია მათი თამამი და გენიოსური გამოკვლევა მედიცინის სფეროში, რომელიც ძირიან ფესვიანად სოხრის დღემდე გამეფებულ მეცნიერულ აზრს ბალარიის წარმოშობის შესახებ. იმ ლექსში, რომელიც ამ საგანს ეხება, ავტორი შეურყევლის საბუთებით არღვევს ძველ აზრს, თითქო მაღარიის გამავრცელებელი და ამცრელი იყოს კოლო. ავტორი ამტკიცებს, რომ ამ საშინელ სენს კოლოები კი არა, არამედ მხოლოდ ღვდლები აცრცლებენ ქვეყანაზე და ლექსსაც სათაურით „ღვდელი და მალარია“ ეწოდება. მართალია ნიჭიერი ბაკტერიოლოგი=პოეტი თავის ლექსათ დაწერილ გამოკვლევაში რამდენჯერმე იმეორებს: ძველია თემა: გრი ღვდელი და მალარია, მაგრამ ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით, რომ ეს თემა სულ ახალია და თუ მეცნიერი მაინც დაუინებით იძახის, ძველია, ეს მხოლოდ მისი მორცხვობით აიხსნება, იმ მორცხვობით, რომელიც ეგრე რიგათ ახასიათებს ჩვენს სიმბოლისტ პოეტებს.

კიდევ უფრო საოცარია „შეილდოსნების“ მინაღწევი ჰიგიენის სფეროში. როგორც სჩანს, ამ დარგში მათ დიდი ჯაფა და ენერგია დაუხარჯავთ და, მაღლობა ღმერთს, ფუქად არ ჩაუვლია ამ გარჯასა და მხნეობას. სადაც მეცნიერებაა ბატონებო, იქ გულ წიწვებას აღვილი არ უნდა ჰქონდეს და მე თქვენ გთხოვთ, დამშეიღებით დაუგდოთ ყური მეცნიერ პოეტების საოცარ ჰიგიენურ მინაღწევს: „როს შემოიქმობ თმა-გაშლილ თავზე ნაზი ზოორებით თეთრ შიშველ მკლავებს,— ზხურვალე კოცნით ამოგიშრობ თფლიან ლლიას“, ამბობენ ისინი „შეილდოსნის“ მეორე ნომერში. ერთხელ კიდევ გთხოვთ, ბატონებო, ნუ მიაქცივთ ყურადღებას ამ სტრიქონის ოდნავს ანტიესოეტიურობას და დაუფიქრდით, რა ბედნიერებას შეიცავს კაცობრიობისთვის ეს უბრალოდ ნათქვამი სიტყვები. თუ ერთი კოცნით ერთ პოეტს ასეთი საკვირველი შედეგის მიღწევა შეუძლია, რამდენკაც გაათავისუფლებენ თფლიასგან ყველა ჩვენი ახალგაზდა მეცნიერი-პოეტები, ვთქვათ, ათასი კოცნა რომ გაიღოს თითო მათგანმა? კეშმარიტად, ჩვენ შეგვიძლიან სამართლიანათ დავიქადოთ, რომ


ჩვენმა ეროვნულმა პოეზიამ მიაგნო უებარ საშვალებას ოფლის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ, თქვენ თითონ დამეთანხმებით, რომ ასეთ სასარგებლო პოეტების დასატუქსავად მე ენა არ მომიბრუნდებოდა და ამის და გვარათ მესამე თემაც გამიცუდჲებოდა.

ასეთი ბედი ეწია დანარჩენ ჩემ თემებსაც ჭიათურების ჩემი განცხადების შემდეგ, იმედია, მაპატივერთ, რომ დღეის „სალამოსთვის“ ვერაფერი დავამზადე სცენაზე სათქმელად.

თავუნა.

დამფუძნებელი კრება.



რაუდინ არსენიძე

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი და მიწისძერის მთავარი ხელმძღვანელი. დაიბადა. ძველი რეეიტის დროს მონარქიულ რესეტში. მაშინდელმა მთავრობამ იმ თავითვე იკოდა, რომ რ. არსენიძე ოდესშე იუსტიციის მინისტრა გახდებოდა და ყოველ ლონისძებას ხმარობდა მის მოსამზადე ლათ ამ თანამდებობის თვის უზერეს დროს ციხეებში ატარებინებდა - ტუსალთა ყოფაცხოვრებისა და ბოროლ მომქმედთა ბუნების შესასწავლად:



გრიბოედ გიორგიძე

დამფუძნებელ კრების ს. დ. ფრაქციის წევრი. ძველ მთავრობას არ უყვარდა, სამაგიეროთ ახალი მთავრობა მან ძლიერ შეიყვარა. როგორც ცნობილი იურისტი, დანიშნულ იქნა სამხედრო მინისტრათ. მისი მინისტრობის დროს ფეხი აიღვა ქართულმა ჯარმა.

ბათოში.


(ისტორიული მიმხელვა).



ქვეყნის დასაბამიდანვე ბათუმში სცხოვრობდა ქართველები. სცხოვრობდა ქართველობრიდ: იყო წუმართ მოყვარე, თავაზიანი და გულ-ალალი. — ენახოთ, ერთშეგენიერ დღეს კარზე უცხ სტუმარი ავა.

— მე ბერძენი ვარ: ვთხოვ მასპინძლობა გამიწიო, უთხრა მოსულმა.

— სტუმარი ლვისაა, უპასუხა ქართველმა: მოიქეც ისე, თოთქოს შენს სახლში იყ!




სტუმარმა პირნათლად შეასრულა ეს, სახლ-კარი მიითვისა და მასპინძელი თავისებურად გიმოაწყო



გავიდა დრო. დროთა ბრუნვა: მ ბერძენი თან გაიყოლია, და სამაგიეროთ ქართველ, ვერეციელო ეწვია.

— კეთილი იყოს შენი მობრძანება: სტუმარი ლვთისაა... მოიქეც ისე, როგორც შენს სახლში, უთხრა ქართველმა.



ვენეციელიც სწორედ ასე მოიქაა: სახლ კარი მიითვისა და მასპინძელიც თავის ჭურაზე გამოაწყო.



გავიდა დრო. ვენეციელი წყალმა წაიღო. სანაცვლოდ ბათომელ ქართველს თათარი ეწვია.
— კეთილი იყოს შენი მიმდანება, უთხრა ქართველმა: სტუმარი ღვთისა. მოიქეც ისე როგორც
შენს სახლში.



«სეც თიქ კა: მიითვისა სახლ-კარი და მასპინძელი თავის ჩჯულზე ვამოაწყო.



გავიდა დრო. ოსმალოს ნაცვლად ბათუმს რუსი ეწვია:
 — სტუმარი ღვთისაა... მოიქეც ისე, თითქოს შენს სახლში იყო, — უთხრა ქართველმა.



რუსმა თვისი ქუდი ჩამოაფხარა თვალებზე ქართველს.



წავიდა რუსიც და ბათომს ინგლისელი ეწვია.
 — სტუმარი ღვთისაა, უთხრა გონზე მოსულმა ქართველმა, მაგრამ ბათუმი კი ჩემია: დილით
 ოქრო ხარ სტუმარო, სალამოს ვერცხლად იქცევი, თუ კიდევ შეგავვიანდა....



პატარა ფელიქსი.

ზოგი ჭირი მარგებელია.

თითქო საქურდლათ მივდიოდი, ისეთის შიშით და მოკრძალებით ჩავედი რესტორან „შამპანის“ კიბეზე და ბნელს ალაგას პატარა სტოლს მოვუჯექი:

ჩემ წინ სპეციულიანტ ბერძნთა შეიარული ჯგუფი საღილობდა.

ზურგთ უკან, კაბინეტში, ცნობილი ქართველი ჭრიჭინები ქეთეუბენ. მათ გურინ გაესალებიათ სასურსათო სამინისტროდან გამოტანილი ნებართვა და ხასიათზედაც იყვნენ.

მარცხენა ფრთაზე უცხოეთიდან გადმოხვეწილი ბურუუზია მიჯდა, განურჩევლად სქესისა.

ხოლო მარცხენა ფრთით მიბჯენილი ვრყავ ცოვსა და ნეიტრან კედელზე.

როგორც ხედავთ, პირწმინდათ ალყა შემორტყმული ვრყავი მოწინააღმდეთაგან და ჩემს მდგომარეობას უნუგეშოდ ვთვლილი.

მაგრამ ხომ შოგესხენებათ შოთას თქმულება: „ღმერთი არ გასწირავს კაცს შენგან განაწირს“ ა.

ჩემი საქმე თურქე ორს ჩემთვის სრულიად უცნობ პირს გაუკეთებია.

— აბა, ფრთხილად. ... მე წამიკითხავს... ცნობილი გვარდიელია... ჩამესმა ყურში შორეული ჩურჩული ვასილ ივანიჩისა და თვალი მიმოვავლე რესტორანს, იქნებ ვალიკო ჯულელი ზის საღე მეთქი.

ჯერ კარგათ არც კი მქონდა მოფიქრებული თუ რა ულუფა მომეთხოვა, რომ მოუმზადებელს ორი ანგელოზი თავს დამეცა.

— რას ინებებთ, ბატონო?

— რას მიირთმევთ, ბატონო?

იმათ სხვა მოჰყავა, იმათ კიდევ სხვა და ჩემს ირგვლივ მანდილოსანთა მიტინგი გაიმართა. ჩემი სუფრა „შამპ.ნის“ მოქეთეთა უურადლების და, შე მიძლია ესთქვა, შურის საგნათ იქცა.

— რა ამბავია ჩემს თავს! ვფიქრობდი მე, რადენათაც ასეთ მდვომარეობაში შესაძლებელი იყო ფიქრი და გონს ვერ მოვსულიყავ. — ნეტავ ვინ ვგონივართ ამ მამაცხონებულებს? მთავრობის წევრი მე არა ვარ, დამფუძნებელი კრების დეპუტატობა ღმერთმა არ მარგუნა, სპეციულიანტობა ვერ მომიშენებია, რომ ჩემი იმედი ჰქონდეს, მომარაგების სამინისტროში არა გმისახურობ, რომ სურსათის შეძენას აპირობდეს. ერთი საწყალი ფელეტონისტი ვარ, რომელსაც ბ-ნი ეშვაკი ყოველგვარ შავ სამუშაოზე მგზავნის და ვერ გამიგია რამ გამოიწვია ასეთი ჩემდამი ყურადღება.

— მიბოძეთ ში; შემდეგ ენა... დარცხუენით ვუთხარ ერთ ერთ დიაკონაგანს და თავი ჩავლუნე.

— ეხლავ, ბატონო?

უცებ ჩემს სუფრაზე მთელი ქალაქი გაშენდა.

მომიტანეს თაალწარმტაცი და მკვდრისთვისაც შეიგულებული შეინიშვნები ისპანახი, საუცხოვო ზუთხის ნაკრები, ძველი დროის მომგონებელი თეთრი შოთის პური, ერთი ბოთლი ნაფარეული, ხილიალა, მწვანილი და სე. და სხ.

— მე, ქალბატონო, მხოლოდ ში მოვითხოვე. ეს ალბათ სხვამ შეგიკვეთათ.

— არა ბატონო, ნუ სწუბებით, მიირთვით.

კარგია თქვენმა მზემ, ნუ შესწუბებით. მირთმევაზე რასაკვირეველია დადი შეწუხება არ დამადგება, მაგრამ დაბოლოს გადახდის ჯერიც ხომ მოვა. არა, მე ამათ უთუოდ დათოკო ქებაძე ვგონივარი. საზოგადოებამ ეჭვის თვალით დამიწყო ცქერა. ყველას მილიარდერი ვეგონე, ამაში ეჭვი არ შემდის.

მეორე ულუფათ ჩემგან მოთხოვნილ „ენის“ ნაცვლად მომართვეს „ციბლიონქა ტაბკა“ და „ფილე ნავერტლე“, იმას მოჰყავა ტკბილეულები, იმას ხილეულობა, იმას ყავა...

დადგა უსაშანელები მომენტი. ძველი დროის ფასებითაც რომ მეანგარიშა, ცხადია ვალი დამედებოდა. „სხოტს“ ისე ველოდი, როგორც სურთა მეუთაეს. მანუგეშებდა მხოლოდ ის გარემოებრომებას რომ რესტორანი თითქმის დაიცალა და ჩემს იგლივ ალყა მოიხსნა,

— მაღლობა ღმერთს, თუ უფულობის გამ გამლანძღვენ, ან მცემენ, კარგია, ვერავინ დაინახების მაინც. ვინუგეშებდი თავს და ანგარიშის გასწორებას მოველოდი.

ანგარიში კი არავის მოჰყონდა. მორცვად დავაკუნე თეფშის კიდეზე და რამოდენიმე მსახური ჩემს გვერდით გაჩნდა.

— აბა ერთი ანგარიში გვიბოძეთ.

— რის ანგარიში, ბატონო, რასა ბრძანებთ... აი ახლ: ვ ვასილ ივანიჩს დავუხაძებთ.

ვასილ ივანიჩიც მოვიდა.

— გთხოვთ ანგარიში გვიბოძოთ, ბატონო ვასილ.

— აბა რასა ხუმრობი, ბატონო, წარც ისე დაკარგულები ვართ, რომ...

— კარგი, თუ ღმერთი გწამს; შეიძლება სრულიად ვერ გადავიხიდო, მაგრამ რაც დამაკლდება იმას ხვალ მოგართმევ...

— ნუ ვეცლი, ბატონო, ჩემ არც ისე ჩამორენილები ვართ, რომ თქვენი...

— რა ჩემი, კაცო? მე დარწუნებული ვარ ვილაც სხვა გვონივართ...

— აბა, რასა ბრძანებთ, თქვენ რაც უნდა მოინდოოთ, ჩემ მაინც ვიცით ვინც...

— სწორეთ ველარაფერი გამიგია..

— კი გაგიგიათ, ბატონო, კი! ჩემ ისედაც მაღლობელი ვართ, ამხანაგობას გეფიცებით.

— რის მაღლობელი ხარ, კაცო, გამაგებინე შაინც!

— ბატონი, ოქვენ ჩემოდენი ცოდნა თითის ნეკში გაქვთ... ჩვენ გვარდიას დიდ ბატივს ვსცემთ რამდენადაც...

— მერე მე რა შვაში ვარ?

— ჰე, ჰეეე... ნუ გვეხუმრები შენიჭირიმე, ჩვენ საჭმელი არასოდეს არ შეგვაშინებს, საჭმე ჭურჭლეულობაა. ახლა ისეთი დრო დადგა, რომ ფულიც მქონდეს, სასყიდლათ ვერ იშოვნი.

— ეს მართალია.

ჰოდა მეც მაგას მოგახსენებ, რომ მართალია, ერთი თევზი მეტი გვიღის, ვიღრე მთელი სადილი.

— ეს კარგი, მაგრამ მე რა შვაში ვარ.

— ნტავი ოქვენსავით იყვენ ყველა გვარდიელები. ოქვენ გვარდიელი კი არა, იქსო ქტისტე ყოფილხართ.

— კაცო, შენ ხომ არ გაგიჟდი? სადაური გვარდიელი მე მნახე?

— წაგვიკითხავს, ბატონი, წაგვიკითხავს... მართლა ისე როდია ჩვენი საქმე...

— ვსტკვათ, გვარდიელი ვიყო, მერე რა მოხა, რაშია საქმე...

— არა, მე ყველაზე კი არ ვამბობ. ფრონტის კვარდიელები ხატათ უნდა დაიკიდო კაცმა... ეს აპასნოები რომ არიან... ვინ დაუშლის ბატონი? დაამტვრიონ რომ იშოვებოდეს, მაგრამ აკი მოგახსენებ, ერთი თევზი ათასი მანათი ლირს და ვერც იშოვი გასაყიდს.

— ბ-ნო ვასილ, ერთი ქრისტიანულად გამაგებინე, ფულს რატომ არა მოხვე, რა არის მიზეზი.

— ისა შენი ჭირიმე, რომ არაფერი დაგიშავებია. აი ოქვენ ის უნდა ნახოთ, როცა ორიანტის გვარ-

დიელები ვარლამ ყიფიანი და ბეჭანა გოცირიძე შემოვლენ ხოლმე საქეიფოთ...

— მერე?

— მერე ისა, რომ აქ მთელი აღარაფერი დარჩება...

— რატომ?

— რა მოგახსენოთ... ზაპასის გვარდიელები არიან და ახლა ისე ადვილათ ხომ ვერ შებედავ კაცი...

— მერე მე ფულს რატომ არ მახდევინები? შეკაცო, ერთი თუ დაგამტვრევს, მეორეს მაინც გადაადევინე.


— არა, შენიჭირიმე... შენ გვარდიელი კი არა, ანგელოზი ყოფილხარ. კაცმა რომ თქვას ეს ზაპასის გვარდიელობა უფრო სხვა რამე ყოფილა.

ბევრი ვაჯერე ვა' ილ ივანიჩი ჩემგან ფული მიეღო, მაგრამ იმ ორი გვარდიელისაგან დაშინებული, ვერას გზით ვერ დავითანხმე. გულში ცოტა არ იყოს კიდევაც მიხაროდა ეს გარემოება. ერთი გული იმასაც კი მეუბნებოდა, — წადი ნახე ის მებრძოლი „ზაპასის“ გვარდიელები და მადლობა უთხარი, რომ სირცხვილს გადაგარჩინესო, მაგრამ ვამჯობინე ეს სხვა დროსათვის გადამედო. ვინ იცის, იქნებ საღმე ბრძოლის ველზე შევიყარეთ ერთად (თუნდაც იმავ „შამპანში“) და მაშინ გავამხიარულებთ ერთმანეთს ამ სასიამოვნო მოგნებით.

როცა „შამპანიდან“ ქუჩაში ამოვედი და თავი სამშვიდობოზე ვიგრძენი, მაშინ მიეხედი იმ თქმულების გონიერებას, რომელიც ამბობს:

— ზოგი ჭირი მარგებელიაო.

მორიელი.



ქუთაისი.



დაგვიანებული სცენები ქუთაისის ბულვართან.

წელის საკითხი ქუთაისში



მებოჭყვა და ქუთაისის მოქალაქე წინათ.



მებოჭყვი დღეს



ბრძოლი წყლისათვის

თუთი-ნამედან.

ბაყაყისა, კრაზანასი და ჩიტის შესახებ, თუ
როგორ სძლიერ მათ სპილოს.

თუთიყუშმა დაიწყო:

ერთ ქალაქში ქოლგის მხგავსი ხე იზრდებოდა. ამ ხეზე თავისი ბუჯე გაიკეთა, კვერცხები დასდო უწყი-
ნარმა ჩიტშა გულ-წითელამ. ერთხელ მოვიდა სპილო
და ხის ღერძის ზურგის ფხანა იწყო. ძლიერი შეჩე-
ვისაგან კვერცხები ძირს ჩამოცვინდა. გულ-წითელამ
შორი ახლო იწყო ფრენა, სხლტომა ტოტიდან ტოტ-
ზე და ტრილიც მორთო. მაგრამ რა უნდა გახ-
დეს უსუსური ჩიტი სპილოსთან?

გულ-წითელამ თავისთვის თქვა:

— მქლავრი მტერი დამარცხებულ უნდა იქ-
მნას მოხერხებით.

გულ-წითელას ჰყავდა მეგობარი ჩიტი, სახე-
ლად ნისკარტ-გრძელა. გულ-წითელა მასთან გაფ-
რინდა და თავისი წუხარება უამბო.

— სპილომ დამიჯაბნია, სთქვა მან. მიიღე
ისეთი ღონისძიება, რომ შეჩრი ეიძიო მასზე.
მეგობრები უფრო შეტად ჭირშია საჭირო.

— ომი სპილოსთან ძნელი საქმეა — უპასუხა
ნისკარტ-გრძელება. მასზე ერთის მისვლა ყოვლად
მოუხერხებელია. მე მყავს მოყვარე კრაზანა. ის
ძალზე კვერიანია. მასთან ერთად რასმე ვიღონებთ.

ისინი გაფრინდენ კრაზანასთან. მან მოუსმინა
მათ და შეშინებულმა სთქვა:

— მე მზარი ვარ ვემსახურო მეგობრებს, მაგ-
რამ მე კიდევ მყავს მეგობარი, ბაყაყთა ჯარის სპა-
სლიანი. საჭიროა იმათაც გავაგებინოთ ეს ამბავი.

გულ-წითელა, კრაზანა და ნისკარტ-გრძელა
ერთად გაფრინდენ ბაყაყთან და შეელა სახოვეს.

ბაყაყმა ულრმესი მწუხარება გამოხატა გულ-
წითელას კვერცხების ბუდის გამო და წარმოსთქვა.

— ნუ სწუხართ! ისტატობით მთის გადაბრუ-
ნებაც კი შეიძლება.

კოტა ხნის შემდეგ მან დასძინა:

— მე მოვიგონე ხერხი, თუ რარიგად ვსძლი-
ოთ სპილოს. აი როგორ: კრაზანა სპილოს ყურ-
თან მიურინდეს და თავის ნელი ბზუილით მოთმი-
ნებიდან გამოიყვანოს იგი. როდესაც სპილო ძალ-
ზე გაბრაზდება, ნისკარტ-გრძელამ თვალები უნდა
დასთხაროს მას და დღის სინათლე დაუბნელოს.

Համուցնոմք գլուխ Մշտիցք Տէլուռ Բյուրջուոլու
Մշտիցքնեմք, թյ մուս աելուռ ցազինդեմք և պայսինք
Թուարուազ. ուս հիշես եմաս ցազունցնեմք և ուղովիշնեմք:

— სადაც ბაყაყია — იქ წყალიც უნდა იყვესოდა გამომყვება. მე კი ისეთ ალაგას მივიყვან — საიდანაც ვეღარ გამოვიდეს. ვერვინ გაიგებს მის ლრიალს და იქ შიმშილისაგან სულიც ამოხდება.

ასეც მოიქცენ. მოხერხებითა და გაცდურობით
დალუპეს სპილო.

თუთიცუშმა არაკი ასე დასკვნა:

— በአዲስ-ሸክሳ ማኅበር ማረጋገጫ ከዚህ ተከራካሪውን በግብር ተደርጓል፡፡

ସାରାବ୍ସାହିନୀ

ოს, გეჩერის მომგონო?!...*)

(სკონა ჭიათურისათვის)

სახსოვრალ ა. მარგიანს.

ჩემი ცოდვით დაიწვოს ვინც ეს ამაღამინდელი
ვეჩერი მაიგონა!

ორშაბათ დილაა ვზივარ ჩემთვის ფეხთან მოხ-
რუკული, ფუქრებმა წამილო. დაცლილი მაქს, როცა
ჩემი შუპანა ღრენას დამიწყებს, იმ დღეს ჩემ თავს
კარგი არ იქნება. მერე რაც უნდა ვეფერო, სულ
რომ ფინია ძალლივით გამოსუბორდე კალთაში, თუ
შაჯდა ერთი მერე ბერების!

ის იყო ხელი ასწია შუშანამ, უნდოდა თავში
ჩაეთხოა ცებინა.

რომ ერთიც ვნახოთ ჩემ იღბალზე ვიღაცამ
უარი შამოალო და დიდი პატაგნით შამოვიდა.

ჩესტ იმეიუ პაზნაკომიტსა ია ჩლენ კომიტეტი...
სიტუა აღარ დავათავებინე რაკი კომიტეტი რომ
გავიგნე. შიშით გამაზანზალა და შამენტალნათ მი-
ვაძახე:

ია საპოენიკ. ია საპოენიკ! და ჩემს ძირგამოვა-
რდნილ ჩემმებს მივვარდი. შეშინდა ვაი თუ უსა-
ქმო ვანე ვეგონი და გადამასახლოს გრუზინწყი-
რესპუბლიკიდან მეტქი.

ვიცით რა საპონიკიცა ხართ, თავს ნუ იყარუ-
ნებთ, გოსპოლიან, გოგია! ია აქაკი დავითის მარ-
ლინც, პროსიმ ვას ნა ფელეჩალიჩესკი ვეჩერ ნა-
ზისარ ნოვი სკინა ი ნემოშეკ პოშტოკარ!!

ვიფურებ: სომები ყოფილა, ჩვენი კაცია მეთქილა გაესწორდი წელში. სახეც მემტნაურა, მგონი ვოროცყო უპრავაში მინახავს. ოთხოს ერთათაც გვექეიფნია, ყანწებითაც გვიყლაპია, მაგრამ როგორ გამიწყება ქითაბი რამე გაუბედო!

*) ეს სცენა წაკითხულ იქნა ჭიათურაში ფედერალი-

აწევთებნ პირში ლვინოს და მე აქ ყანწებზე დაუ-
წყო ლაპარაკი. ვეებნები:

სლუში, გოსპოდინ მარლიანც, მი, კაფეტა,
ტებე ზნაიმ... ის მეუბნება:

ზნაიმ, კავ ნე ზნაიმ, ვი ლუბიტე ვინო ყლაპა-
ვატ, ზაკუსკი კუშიტ, ი პატამუ: მი, პარმენ, შა-
ქრო, სოსან, დავით არსენიჩ ი ვსე ნაზი დევეკი
პრივლაშაიმ ვას ნა ვეჩერ. სკოლკი ხოჩიშ ზუთხი,
ვინო, ვი ტოლკი ეგმნოშკო მოშუტკუიტე ნა ვე-
ჩერ!!.

ზუთხი და ოვინო რომ გავიგონე კბილებმა კაწ-
კაწი დამიწყო და მივეცი ჩესტნი სლოვა, დაგვეგმ-
შვიდობა მარღიანტი და წავიდა. მე სიხარულით
ცას ვეწერდი ჩემი შუშანა კი ისე გაძერილა, თა-
თქოს საზოც ვედრიანი რუმბია! დაუწყე ალექსი
ვეხშმრები, მინდა გუნებაზე მოვიყვანო და ვეჩერში
გამიშვას. ლოყაზე ხელი აუსვი, მარჯვენა თვალიც
მოუჭურე მაგრამ იცითანა ასმა თქვენ მტერს მე
იმან ამისვა და ჩამისვა! უკითხესი მასაჟისტი ლმერ-
თხა შეარტყენია! სულ ნეკნები ჩამარტყრია! გვერ-
დებს ისე გაპენლა ბავი-ბუგი, გეგონება ხალიჩას
ბერტყამენო!

“ Ծահեց մօ Ծըցքյածն զաթաղրեցու ց վաշո յ
, հռցորառ, Ցեն ցոցոցեծն մօծրմանցցօն և սպիտ
դա թյ սածլ՛ն ցոյցու, ամ նոմուրուն մոցուց և
հցիռո յաճառ, տոռեց տցալցցօն ամոց՛ն նոն! Ցըն
թածցալ դա թյու ոյ սբճա ցոյց, հռմ նհռոցյարկա ցա-
ցիցուոցու! ” և ալցուու մյենցես ամ յաճուն Ցըց-
հցաս տուիչուս եռ Ցիսհուոցու ցոյցու!

კაბაც რომ შეუკერო, ხალხნო, სად გიმოვიყ-
ვანო ის მაწაუკი ისა! მე შენ გითხრა გლეჯტრი-
ჩესკი ლამპები რომ ჩაქრეს ის გაანთებს რაღა! მო-
ლი და თავის მოსაჭრელად ამისთანა ქალი წაიყვა-
ნე გიჩერში!

— დედაკაცო, ვეჩერზი რა გინდა, იქ ვიღაცა

— „როგორ მასხარათაც მიღებო?“ გამიგდო
ფეხვეულ და სულ ნაკლული ტიკით მაჯ-ნყალა!
გადის გამოდის ზურგზე და მე კი ქვეშიდან „ვიყ“,
„ვიყს“ ეიძახი! იმდენი მცემა, იმდენი რომ ახალი
სცენა კი არა, რაც დაწერილი მქონდა ძველათ,
ისიც სულ დამავიწყდა! გამოუსხლტი ხელიდან და
აქეთ გამოვიქეცი. ამდენი ჯანჯლალისა და ცემისა-
გან კარგათაც მაშვიდა და ლვთის წინაშე სიხარუ-
ლით შეძოვედი აქ, რადგან ვიცოდი რომ რავა-
რიში მარიანცი ლვინითა და ზუგხით გამომაძლებ-
და, მ გრამ ეხლა მომაგონდა რომ მე ჩემი ახალი
დაწერილი სცენა უნდა წამეკითხნა ვეჩერზე და
მხოლოდ მაშინ, მაგრამ ეხლა ვარა რას მომაზა-
ვებს! თხ, მარიანცი, ჩემი ცოდო გედოს ამინის
უკუნისამდე, რომ შენ მე ამ დღეში ჩამდგდე! ცალ-
კე ცოლს გააბეგვინე ჩემი თავი და ცალკე ამ ობ-
ჩესტვოში შემარცხევინე! რომ დააღე ხახა სამსონ
ბერიშვილივით და შუშანასთან დაბილაგე ყველა-
ფერი თუ: „ვეჩერში წამოდი, დევეგბან გაქერივე-
ბო? ბიქო, შე ყურუმსაღო, გეთქვა ჩუმათ და სცე-
ნას დაგიწერდი იმისთანას, რომ შარვლის ლილები
ჰაერში აფრიალებულიყო!

ფულთის სამეურნეო აკადემია.



47 ფოთის სამეურნეო აკადემიაში გაცხარებული მუშაობა სწარმოებს: ჯერ ჯერობით მოხნულია დესტრინა მიწა. ვინაიდან პურეულ მცენარეთა ოესვა ძალიან ღრმისავალს იძლევა, აკადემია თვით ქალაქის ხვნასაც შეუდგა და აზრადა ატვეს მოსთხაროს ყველა სახლები ყანების დასათვესად.